თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3163432

ნომერი: AR1475868

თარიღი : 28.02.2017

გაცემის თარიღი : 23.03.2017

გაცნობის თარიღი : 23.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე, ნავთობბაზის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი შალიბაშვილი პ/ნ 01001007430
- თბილისი დმანისის ქ. N 12

ორგანიზაცია:
- შპს აგრო ინვესტი კოდი: 202276321

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ლითონის ცხაურის ტიპის ღობის (ჭიშკარის გათვალისწინებით) მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილზე, ნავთობბაზის მიმდებარედ, შპს „აგრო ინვესტი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. № 004/012) I კლასის ლითონის ცხაურის ტიპის ღობის (ჭიშკარის გათვალისწინებით) მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური . საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. გიორგი შალიბაშვილის განცხადება, მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882017044290 საკადასტრო კოდი N 01.19.14.004.012, სიტუაციური გეგმა, ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილზე, ნავთობბაზის მიმდებარედ, შპს „აგრო ინვესტი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. № 004/012) I კლასის ლითონის ცხაურის ტიპის ღობის (ჭიშკარის გათვალისწინებით) მოწყობის განხორციელების შესაძლებლობას მისსავე საკადასტრო საზღვრების ფარგლებში.

–ასევე გათვალისწინებული იქნას: საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს პირველივე მოთხოვნითანავე თქვენივე ხარჯებით (ზიანის ანაზღაურების გარეშე) დემონტირებული იქნას აღნიშნული ლითონის ბადე (შესასვლელი ჭიშკრით).

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.